

საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

რუსეთის მიერ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შეჩერების ეფექტი ქართულ ეკონომიკაზე

www.sab.ge

რუსეთის მიერ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შეჩერების ეფექტი ქართულ ეკონომიკაზე

"რია ნოვოსტის" ინფორმაციით, რუსეთი საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერებას გეგმავს (საქართველოსა და რუსეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ხელი 1994 წლის 3 თებერვალს მოეწერა). თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ბაზარზე ქართული და რუსული პროდუქციის ნაწილის გაძვირებას, ხოლო ნაწილის ექსპორტს და იმპორტს გაართულებს.

„საზოგადოება და ბანკები“ ამ თემით დაინტერესდა და არსებული მონაცემები მიმოიხილა. იმისათვის რომ გავარკვიოთ, ამ ფაქტმა საქართველოს ეკონომიკაზე, თუ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს, ამისთვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები გავაანალიზოთ.

გრაფიკი 1. საქართველო-რუსეთის საგარეო ვაჭრობის მონაცემები (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

როგორც გრაფიკი 1-ში არსებული მონაცემებიდან არის ნათელი, 2003 წლიდან 2006 წლამდე საქართველოდან ექსპორტი რუსეთში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2006 წელს (ემბარგოს დაწესების შემდეგ) 2005 წელთან შედარებით ექსპორტი ზუსტად 2-ჯერ შემცირდა. 2006 წლიდან 2010 წლამდე ექსპორტის მაჩვენებელი კლების, ხოლო 2010-იდან 2014 წლის II კვარტლის ჩათვლით კი ზრდის ტენდენციით ხასიათდება (2013 წელს რუსეთში ექსპორტი 2012 წელთან შედარებით 4-ჯერ გაიზარდა). 2014 წლის ორი კვარტლის (წინასწარი) მონაცემებით ექსპორტის მოცულობა (134 მლნ აშშ დოლარი) უკვე საკმაოდ მაღალია. თუ ამ ზრდის ტენდენციას დავეყრდნობით, 2014 წლის ბოლოს (იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეზღუდვებს არ დაგვიწესებს), ექსპორტის მოცულობა გასულ წლებთან შედარებით ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე დაფიქსირდება.

რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქციის მოცულობას, ის 2003 წლიდან 2008 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2008 წლიდან (საქართველო-რუსეთს შორის ომის პერიოდი) 2011 წლამდე კი – კლების. 2011 წლიდან იმპორტი კვლავ ზრდას იწყებს და ეს ტენდენცია დღემდე ნარჩუნდება (რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქციის მოცულობამ მის მაქსიმუმს 2013 წელს მიაღწია). რაც შეეხება რუსეთთან საგარეო სავაჭრო სალდოს, ის წლების განმავლობაში მუდმივად უარყოფითი ნიშნით ხასიათდებოდა, რაც დღემდე გრძელდება.

ცხრილი 2: საქართველო-რუსეთის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები

ექსპორტი				იმპორტი		
წლები	ადგილი	% წილი	ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა	ადგილი	% წილი	იმპორტიორი ქვეყნების რაპდენობა
2003	1	18%	83	1	14%	112
2004	3	16%	79	1	14%	118
2005	1	18%	93	1	15%	120
2006	3	8%	100	1	15%	120
2007	9	4%	95	3	11%	114
2008	12	2%	94	5	7%	126
2009	10	2%	101	5	7%	121
2010	10	2%	106	6	6%	128
2011	12	2%	106	6	6%	135
2012	11	2%	112	6	6%	128
2013	4	7%	111	4	8%	122
2014 II 33	3	9.4%	100	6	6%	118

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-geostat.ge

ცხრილი 2-იდან ნათელია, რომ 2005 წელს რუსეთი 93 ექსპორტიორ ქვეყანას შორის საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 18%-იანი მაჩვენებლით პირველ ადგილს იკავებს. 2006 წელს (ემბარგოს დაწესების შემდეგ) ის 8%-იანი მაჩვენებლით მესამე ადგილზეა და შემდგომ წლებში შედარებით დაბლა ჩამოდის. რაც შეეხება 2013 წელს, ის კვლავ მაღალ პოზიციებზეა და 2012 წელთან შედარებით 111 ექსპორტიორ ქვეყანას შორის მეთერთმეტე ადგილიდან ის მეოთხე ადგილზე ინაცვლებს. თუ 2005 და 2013 წელს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ პირველი და მეოთხე ადგილი, ამ შემთხვევაში, ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საქართველოში საექსპორტო ქვეყნების რაოდენობა 100-ის ფარგლებშია. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2005 წელს, როცა საქართველოს მთლიან ექსპორტში რუსეთში პროდუქციის ექსპორტის წილი 18% იყო, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 7%-მდე ჩამოვიდა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ 2013 წელს ბაზრის მცირედით, მაგრამ მაინც, შედარებით დივერსიფიცირება მოხდა და საექსპორტო ქვეყნების რაოდენობა 2005 წელთან შედარებით (2005-2013 პერიოდის განმავლობაში) 18-ით გაიზარდა. რაც შეეხება 2014 წლის ორი კვარტლის (წინასაწარ) მონაცემებს, საქართველოდან

ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით, რუსეთი 9.4%-იანი მაჩვენებლით მესამე ადგილზე დგას, რაც უკანასკნელ წლებთან შედარებით საკმაოდ მაღალი შედეგია.

რაც შეეხება საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქციას, 2005 წელს რუსეთი 120 იმპორტიორ ქვეყანას შორის იმპორტირებული პროდუქციის 15%-იანი მაჩვენებლით პირველ ადგილს იკავებს. 2007 წლიდან ის მცირედით უკან იხევს, ხოლო 2013 წელს ისევ მაღალ ადგილზე ინაცვლებს და 122 იმპორტიორ ქვეყანას შორის, 8%-იანი მაჩვენებლით მეექვსედან მეოთხე ადგილზე ადის. რაც შეეხება 2014 წლის ორი კვარტლის (წინასწარ) მონაცემებს რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქცია 6%-იანი მაჩვენებლით მეექვსე ადგილზე დგას რაც, წინა 2013 წლის მონაცემზე მცირედით ნაკლებია.

გრაფიკი 2: საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-geostat.ge

გრაფიკი 2-ზე არსებული მონაცემებიდან ნათელია, რომ საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის პროცენტული წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2003-2006 წლებში ზრდის, ხოლო 2006 წლიდან 2012 წლამდე ძირითადად კლების ტენდენციით ხასიათდება. 2013 და 2014 წელს უკანასკნელ წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი იმატებს, რას ქვეყნისთვის დადებითი ფაქტია. რაც შეეხება საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტს, ის გასული წლების უმეტეს შემთხვევაში, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება (2003 წლიდან 2010 წლამდე კლების, ხოლო 2010 წლიდან დღემდე კი ზრდის ტენდენციით). უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა დსთ-ს სხვა ქვეყნებში ექსპორტთან შედარებით 2006 წლიდან 2012 წლამდე ძირითადად კლების, ხოლო 2012 წლიდან დღემდე კი კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა 2006 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მაინც გაცილებით მცირეა.

დასკვნა: ზემოთ არსებული ანალიზიდან ნათელია, რომ 2006 წლამდე საქართველოს ბაზარი რუსეთზე ძალიან დამოკიდებული იყო (საქართველოდან ყველაზე დიდი ოდენობით პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი, რუსეთს უკავშირდებოდა). 2006 წლის (რუსეთის მიერ ემბარგო დაწესების პერიოდი) და 2008 წლის შემდეგ (საქართველო-რუსეთს შორის ომის პერიოდი), რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები შედარებით შენელდა. 2006 წლის შემდეგ, მცირედით, მაგრამ მაინც ბაზრის დივერსიფიცირება მოხდა და საექსპორტო ქვეყნების ოდენობა 2005-2013 პერიოდში 18-ით გაიზარდა. მართალია გასულ - 2013 წელს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები ისევ გაუმჯობესდა (რაც როგორც ექსპორტირებული, ასევე იმპორტირებული პროდუქციის გაზრდილ მოცულობაში

გამოიხატება), თუმცა დღეს რუსეთის მიერ სავაჭრო შეზღუდვების, ან თუნდაც ემბარგოს (რაც სამართლებრივად მოსალოდნელი არ არის) დაწესებას ისეთივე ნეგატიური ეფექტი, როგორიც ეს 2006 წელს ჰქონდა სავარაუდოდ აღარ მოჰყვება. ამის მიზეზი ის არის, რომ დღეს, მეწარმეებისთვის რუსეთის მხრიდან შეზღუდვების დაწესება ისეთივე მოულოდნელობასთან აღარ არის დაკავშირებული, როგორც ეს ადრე იყო. 2008 წლის შემდეგ რუსეთთან არსებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, მეწარმეებს მათი პროდუქციის რეალიზაციისთვის ალტერნატიული გზების მოძიებისკენ უბიძგებს (იგივე ეხება საიმპორტო პროდუქციასაც). შედეგად, ბუნებრივია, რუსეთის საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შეჩერებას, ან თუნდაც ემბარგოს (რაც სამართლებრივად მოსალოდნელი არ არის) დაწესებას ნეგატიური შედეგები მოჰყვება, თუმცა არა ისეთი, როგორიც ეს 2006 წელს იყო, მაშინ როცა საქართველოს ბაზარი რუსეთზე ძალიან დამოკიდებული იყო.

www.sab.ge